

„საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი“




დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის
2018 წლის 24 დეკემბრის N05/ა ბრძანებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - „საგანმანათლებლო პროგრამა“) განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი“ (შემდგომში კოლეჯი) ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ კოლეჯის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით ყოველწლიურად ახდენს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებას.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოქმედებს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლის შესაბამისად (სურ. 1).



აღნიშნული ციკლის თითოეული ეტაპი ითვალისწინებს:

1. **“დაგეგმე”** - წინა შეფასების შედეგების გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების/მატერიალური რესურსის/პერსონალის პროფესიული განვითარების ინდიკატორებისა და კრიტერიუმების განსაზღვრას, განსახორციელებელ სამუშაოთა გრაფიკის შემუშავებასა და მათ გამოცხადებას (გაცნობას ყველა დაინტერესებული მხარისათვის);
2. **„განახორციელე“** - დაგეგმილი საქმიანობით განსაზღვრული მონაცემების შეგროვებას და დამუშავებას შემუშავებული და შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად;
3. **„შეამოწმე“** - საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების/მატერიალური რესურსის/პერსონალის პროფესიული განვითარების შეფასებას;
4. **„განავითარე“** - შეფასების შედეგების ანალიზით გამოვლენილი ნაკლოვანებების მიზეზების დადგენას, მათი აღმოფხვრის მიზნით სათანადო რეკომენდაციების შემუშავებას (ან, ნაკლოვანებების არარსებობის შემთხვევაში, არსებული დამაკმაყოფილებელი ვითარების შენარჩუნების მექანიზმების შემუშავებას) და კოლეჯის სათანადო სტრუქტურული ერთეულებისათვის წარდგენას მათზე რეაგირების მიზნით.

შეფასება ხორციელდება ყოველი კალენდარული წლის განმავლობაში, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების გრაფიკი სასწავლო წლის განმავლობაში მოტანილია ქვემოთ (ცხრილი 1):

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების გრაფიკი (ცხრილი 1)

N	საქმიანობა	სასწავლო წლის I ნაწილი					სასწავლო წლის II ნაწილი							
		VIII	IX	X	XI	XII	I	II	III	IV	V	VI	VII	
1	წინა შეფასების შედეგების გათვალისწინებით სამომავლო საქმიანობის დაგეგმვა. შეფასების ინდიკატორების, მეთოდების ან სამუშაოთა გრაფიკის ცვლილების შემთხვევაში, მათი გამოცხადება (ანონსირება).	X												
2	გამოცხადებული ინდიკატორების შესაბამისი მონაცემების შეგროვება		X	X	X	X	X	X	X					
3	საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასება									X	X			
4	შეფასების შედეგების ანალიზით გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით სათანადო რეკომენდაციების შემუშავება და პროგრამებისთვის წარდგენა										X	X		

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პირველ ეტაპზე ხარისხის მართვის მენეჯერი ახორციელებს პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების/მოდულის შეფასებას სათანადო ფორმის (დანართი 1) შევსებით.

სასწავლო კურსის/მოდულის შეფასების ფორმაში მითითებული ინდიკატორით განსაზღვრული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემმოწმებელთა მოსაზრებები გამოვლენილი ნაკლოვანების შესახებ აისახება სათანადო შენიშვნის სტრიქონში.

სასწავლო კურსის/მოდულის შეფასების ფორმის ბოლო ნაწილში აისახება რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება სასწავლო კურსის/მოდულის განმხორციელებელი პერსონალის მიერ ხელს შეუწყობს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრასა და სასწავლო კურსის/მოდულის განხორციელების განვითარებას.

სასწავლო კურსის/მოდულის შეფასების ფორმით განსაზღვრული მოთხოვნის შესრულების დონე ფასდება პირობითად 0, 1 ან 2 ქულით შემდეგი კრიტერიუმის შესაბამისად:

- **0** - მოთხოვნა (პირობა) არ სრულდება, აუცილებელია მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა ვითარების გამოსასწორებლად;
- **1** - მოთხოვნა (პირობა) შესრულებულია, თუმცა შესაძლებელია გაუმჯობესება;
- **2** - მოთხოვნა (პირობა) წარმატებითაა შესრულებული, არ მოითხოვს ცვლილებებს.

აღნიშნულ შეფასებათა ქულების ჯამი წარმოადგენს პირობით სიდიდეს, რომლის მნიშვნელობით (მისი შედარებით წინა შეფასების ჯამურ ქულასთან) შესაძლებელია სასწავლო კურსის/მოდულის განვითარების შეფასება.

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მეორე - შემაჯამებელ ეტაპზე კოლეჯის დირექტორის სათანადო ბრძანებით შექმნილი კომისია (რომლის შემადგენლობაშიც შედიან ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი და/ან კოლეჯის სხვა სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები), პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის (დანართი 2) საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმის (დანართი 3) შევსებით ახორციელებს დადგენილ სტანდარტებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის შეფასებას.

თითოეული სტანდარტის შესრულების ხარისხი ფასდება სათანადო ინდიკატორებით განსაზღვრულ მოთხოვნათა შესრულების დონით. აღნიშნულ მოთხოვნათა შეუსრულებლობასთან დაკავშირებული მოსაზრებები აისახება ამავე ინდიკატორის შენიშვნის სტრიქონში.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების ფორმის ბოლო ნაწილში აისახება რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების განვითარებას.

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების თითოეული ინდიკატორით განსაზღვრული მოთხოვნის შესრულების დონის შეფასება ხდება 0, 1 ან 2 ქულით შემდეგი კრიტერიუმის შესაბამისად:

- **0** - მოთხოვნა (პირობა) არ სრულდება, აუცილებელია მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა ვითარების გამოსასწორებლად;
- **1** - მოთხოვნა (პირობა) შესრულებულია, თუმცა შესაძლებელია გაუმჯობესება;
- **2** - მოთხოვნა (პირობა) წარმატებითაა შესრულებული, არ მოითხოვს ცვლილებებს.

შეფასების ფორმაში ასევე აისახება მოცემული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო კურსების/მოდულების შეფასებათა ქულების საშუალო არითმეტიკული მნიშვნელობა.

სტანდარტების შესრულების შეფასებათა ჯამური ქულისა და პროგრამის სასწავლო კურსების/მოდულების შეფასებათა საშუალო ქულის ჯამი წარმოადგენს პირობით სიდიდეს (ე.წ. ათვლის წერტილს), რომლის მნიშვნელობით (მისი შედარებით წინა შეფასების ჯამურ ქულასთან) შესაძლებელია საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების შეფასება.

სასწავლო წლების მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსების/მოდულების შეფასებათა დინამიკა შესაძლებლობას იძლევა, აგრეთვე, შეფასდეს პროგრამისა და მისი კომპონენტების განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობის ხარისხი.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგებს (საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შევსებულ ფორმას, კომისიის მუშაობის ანგარიშს და საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით კომისიის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს) კომისია წარუდგენს კოლეჯის დირექტორს და ხდება შეფასების შედეგების ყველა დაინტერესებული მხარისათვის გაცნობა შემუშავებულ რეკომენდაციებზე რეაგირების მიზნით.

პროგრამის ხელმძღვანელი სასწავლო კურსების/მოდულების განმახორციელებელ პერსონალთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციებისა და სამუშაო შეხვედრების საფუძველზე პედაგოგიურ საბჭოს წარუდგენს მოსაზრებებსა და წინადადებებს სასწავლო კურსებისა/მოდულების და/ან საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით არსებული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებასთან დაკავშირებით.

სასწავლო კურსის/მოდულის შეფასების ფორმა

საგანმანათლებლო პროგრამა: _____

პროგრამის ხელმძღვანელი: _____

სასწავლო კურსი/მოდული: _____

განმახორციელებელი პერსონალი: _____

N	ინდიკატორი	შემოწმების წყარო	შეფასება		
			0	1	2
1	სილაბუსში/მოდულში წარმოდგენილი ინფორმაცია სრულია (შევსებულია ყველა პუნქტი)	სილაბუსი/მოდული			
	შენიშვნა:				
2	სასწავლო კურსის/მოდულის კრედიტების რაოდენობა პროფესიული სტუდენტის რეალური დატვირთვის ადეკვატურია	სილაბუსი/მოდული, პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა გამოკითხვები			
	შენიშვნა:				
3	სასწავლო კურსის/მოდულის მიზნები და სწავლის შედეგები ნათლად არის ფორმულირებული და შესაბამისობაშია ერთმანეთთან	სილაბუსი/მოდული			
	შენიშვნა:				
4	წინაპირობები ლოგიკურია (შეესაბამება სასწავლო კურსის/მოდული მიზნებსა და შინაარსს)	სილაბუსი/მოდული, პროგრამის სასწავლო გეგმა			
	შენიშვნა:				
5	სასწავლო კურსის/მოდულის შინაარსი შეესაბამება კურსის/მოდულის მიზნებსა და სწავლის შედეგებს	სილაბუსი/მოდული			
	შენიშვნა:				
6	სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს სასწავლო კურსით/მოდულით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას	სილაბუსი/მოდული პროფესიული სტუდენტების აკადემიური მოსწრების მოსწრების შედეგები			
	შენიშვნა:				
7	შეფასების კომპონენტები შესაბამისობაშია დადგენილ მოთხოვნებთან	სილაბუსი/მოდული			
	შენიშვნა:				
8	პროფესიული სტუდენტის შეფასების მეთოდები	სილაბუსი/მოდული			

	უზრუნველყოფს სასწავლო კურსით/მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას შენიშვნა:	ლი			
9	პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა შენიშვნა:	სილაბუსი/მოდული			
10	სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა შეესაბამება კურსის/მოდულის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შენიშვნა:	სილაბუსი/მოდული			
11	სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია შენიშვნა:	სილაბუსი/მოდული, ბიბლიოთეკა			
12	სასწავლო კურსის/მოდულის მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია შენიშვნა:	სილაბუსი/მოდული, მასწავლებელთა პირადი საქმეები, ურთიერთდასწრების შედეგები			
13	სასწავლო კურსის/მოდულის ფარგლებში ხორციელდება ინდივიდუალური მუშაობა პროფესიულ სტუდენტებთან შენიშვნა:	სილაბუსი/მოდული, პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა გამოკითხვები			
14	არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უზრუნველყოფს სასწავლო კურსით/მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას შენიშვნა:	პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა გამოკითხვები			
ქულათა ჯამი					

რეკომენდაციები: _____

ხარისხის მართვის მენეჯერი:

თარიღი: _____

შეფასების ქულათა კრიტერიუმი:

0 - მოთხოვნა (პირობა) არ სრულდება, აუცილებელია მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა ვითარების გამოსასწორებლად;

1 - მოთხოვნა (პირობა) შესრულებულია, თუმცა შესაძლებელია გაუმჯობესება;

2 - მოთხოვნა (პირობა) წარმატებითაა შესრულებული, არ მოითხოვს ცვლილებებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების თვითშეფასების ანგარიში

I. ზოგადი ინფორმაცია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	
პროფესიული განათლების საფეხური	
პროგრამის ხელმძღვანელი	

II. პროგრამის ავტორიზაციის სტანდარტებთან თავსებადობის კითხვარი

სტანდარტები	დიახ	არა
<p>დირექტორის მიერ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები).</p> <p>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დირექტორის მიერ დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.</p>		
<p>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს.</p>		

<p>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს</p>		
<p>პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები შეესაბამება კანონმდებლობას და ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას</p>		
<p>საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები შეესაბამება კანონმდებლობას და ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას</p>		
<p>დაწესებულების სასწავლო გარემო (მათ შორის პრაქტიკის ობიექტზე არსებული გარემო) და ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფა იძლევა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას</p>		
<p>საგანმანათლებლო რესურსები იძლევა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის; საგანმანათლებლო რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად</p>		
<p>პროგრამის დამატების შესახებ დაწესებულების გადაწყვეტილება გამომდინარეობს განვითარების გრძელვადიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებიდან</p>		
<p>საგანმანათლებლო პროგრამის განმახროციელებელი პერსონალის რაოდენობა და კვალიფიკაცია იძლევა პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას</p>		
<p>კონკრეტულ პროგრამაზე დაწესებულების მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა შეესაბამება დაწესებულების სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკასა და დაწესებულების რესურსებს</p>		

<p>პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შერჩეულია კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით</p>		
---	--	--

პროგრამის ხელმძღვანელი: -----

შეფასების კრიტერიუმი:

არა (0 ქულა) - მოთხოვნა (პირობა) არ სრულდება, აუცილებელია მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა ვითარების გამოსასწორებლად;

დიახ (1 ქულა) - მოთხოვნა (პირობა) წარმატებითაა შესრულებული, არ მოითხოვს ცვლილებებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა

N	სტანდარტი	ინდიკატორი		შემოწმების წყარო	შეფასება		
					0	1	2
1	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	1.1	პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას შენიშვნა:	მისია, პროგრამა			
		1.2	პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული შენიშვნა:	პროგრამა			
		1.3	პროგრამის მიზნები ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე შენიშვნა:	პროგრამა			
		1.4	პროგრამის მიზნები მიღწევადია შენიშვნა:	პროგრამა			
		1.5	პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით შენიშვნა:	პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო, პროფესიული სტანდარტი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი, პროგრამა, პროფესიული სტუდენტების აკადემიური მიღწევების შედეგები			
		1.6	პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე შენიშვნა:	საზღვაო სფეროს შრომის ბაზრის მოთხოვნები, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები			
		1.7	პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება. შენიშვნა:	შრომის ბაზრის, დაინტერესებული მხარეების მოთხოვნათა კვლევა			

2	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	2.1	პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას შენიშვნა:	პროგრამა			
		2.2	პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია შენიშვნა:	პროგრამის სასწავლო გეგმა, სასწავლო კურსების სილაბუსები/მოდულები			
3	პროფესიულ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	3.1	პროფესიული სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას შენიშვნა:	პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის პოლიტიკა, პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა გამოკითხვა			
		3.2	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ჩართულია პროფესიულ სტუდენტთან ინდივიდუალურ მუშაობაში შენიშვნა:	მარეგულირებელი დოკუმენტები, პროგრამა, პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა გამოკითხვა			
		3.3	პროგრამაში ჩართული პროფესიული სტუდენტები მონაწილეობენ პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში შენიშვნა:	ანგარიში			
		3.4	პროგრამა ორიენტირებულია სწავლების და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე შენიშვნა:	პროგრამა კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები			
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	4.1	კოლეჯის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას შენიშვნა:	პროგრამა, სტანდარტებთან რესურსების ფაქტიური შესაბამისობა, პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა გამოკითხვა			
		4.2	კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომწვევებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს შენიშვნა:	მასწავლებელთა მონაცემები, პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა, ურთიერთდასწრების			

			შედეგები				
		4.3	<p>პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით</p> <p>შენიშვნა:</p>	<p>ადმინისტრაციული პერსონალის მონაცემები, პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა გამოკითხვა</p>			
		4.4	<p>პროგრამა ფინანსურად სტაბილური და მდგრადია</p> <p>შენიშვნა:</p>	<p>პროგრამაში ჩართული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა</p>			
5	სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	5.1	<p>შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად</p> <p>შენიშვნა:</p>	<p>რეკომენდაციები წინა შეფასების საფუძველზე და მათი შედეგი</p>			
სტანდარტების შესრულების შეფასებათა ქულების ჯამი							
საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების შეფასებათა საშუალო ქულა							
საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ქულა							

რეკომენდაციები: _____

კომისიის თავმჯდომარე:

კომისიის წევრები: